სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო

დადგენილება №01-05-04/58

ქ. თბილისი

4 ივნისი 2021 წ.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭოს 2020 წლის 23 მარტის №01-05-04/67 დადგენილების მოქმედების
გავრცელების შესახებ

„საქართველოში ახალი კორონავირუსის გავრცელების აღკვეთის მიზნით გასატარებელი ღონისძიებების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 23 მარტის №181 დადგენილების, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების“, სტუ-ში სასწავლო პროცესის მართვის ინსტრუქციის, „ახალ კორონავირუსთან დაკავშირებით პრევენციულ ღონისძიებათა განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს 2020 წლის 27 თებერვლის №296 ბრძანების, ახალი კორონავირუსის პანდემიის გათვალისწინებით, სტუ-ის ფაკულტეტების დეკანების შუამდგომლობისა და აკადემიური საბჭოს 2021 წლის 4 ივნისის №01-05-02/10 ოქმის საფუძველზე საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ დაადგინა:

1. „ინდივიდუალურ საგანმანათლებლო პროგრამებზე გადაყვანის შესახებ“ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2020 წლის 23 მარტის №01-05-04/67 დადგენილების მოქმედება გავრცელდეს 2020-2021 სასწავლო წლის მეორე (გაზაფხულის) სემესტრის განმავლობაში.
2. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში, მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ, №64.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე **დავით გურგენიძე**

აკადემიური საბჭოს მდივანი **იაშა კუტუბიძე**